№ 256 ოთხშაბათი, 16 ივლისი. 1896—1897 ოთხშაბათი, 16 ივლისი. № 256.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა

საყურადღებოდ.

ვისაც

ხვედრი ფული

არ შემოუტანია,

იმათ გაზეთის

გზავნა

მოესპობა.

გაზეთი

«ცნობის ფურცელი»

წლის დამლევამდე ღირს

ოთხი |4| მან.

«საქართველოს კალენდრით»

„ბანკის ბაღი“

სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო მამულში.

→ დღე მუდამ საყოველთაო სეირნობა ←

ყოველ საღამოს იმართება მომღერალთა გუნდის კონცერტები, სახუმარო სცენები, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა.

მომღერალთა დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან: აავაზიანი, დოცენკო, ბროცენკო, ბოლიანსკი, ჩისტიაკოვისა, სუდინისა, კარლიჩენკო და სხ მრავ. სიმღერებს და სცენებს ასრულებენ შესაფერის ტანისამოსებით.

დირექცია შვამისა.

საღამოობით ბაღში უკრავს საზანდარი

დღისით შუადღიდან 4 საათ. სამხედრო მუსიკა. სეირნობა და დროს გატარება იწყება საღამოს 9 საათიდან.

→ ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ. ←

ბაღთან გამართულია

მშვენიერი ბუფეტი და რესტორანი

საჭმელ სასმელი საგანგებოა, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპიული. საჭმელები მზადდება განსაკუთრებით კარაქზე.

სადილი 4 კერძი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო და ყავა . . . 1 მან.
— 2 კერძი, არაყი და ბოკალი ღვინო ღირს . . . 50 კაპ.

როსტონდები, აუზები და გრძო ხეივანები.

!!მიიღება შეკვეთა დიდ სადილ-ვახშმებზე იაფ ფასად!!

ბაღში იყიდება იაფად უოკვლნაირი ყვავილები, თაიგულები და სხვა.

იქვე გამართულია სამი ფრეიბერგის ბილიარდი.

ფასი ყველაფერზე ზომიერია.

ბაღის პატრონი ზ. ნ. სხირტლაძე.
(10—3)

„Банковскій садъ“

Ежедневное развлеченіе:
Хоръ, пѣвицы, пѣвцы, танцы, куплеты и проч.
Военный оркестръ и сазандары.
РОСКОШНЫЙ БУФЕТЪ
образцовая кухня, провизія свѣжая.
Цѣны на все умѣренныя.

კბილის საექიმო კაბინეტი

ვ. ი. ჭიჭინაძისა

16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქ., № 81, სლივიცკის სახლი (იქ, სადაც კნინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

თავ. ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძე

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1-ლ ივლისიდან

გახსნა თავის საკუთარის ტყისაგან

შეშის სავაჭრო საწყობი

ქ. ტფილისში, კოგზალის მახლობლად, ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან.

→ შეშა დიდ-მალია კარგის თვისებისა რცხილისა და კოპიტისაგან ←

ფასები საგანგებოდ იაფია

მსურველთ შეუძლიანთ მთელის წლობით იქონიონ ერთისა და იმავე ღირსების შეშა. დიდძალი შეშა იყიდება აგრეთვე შეშის მოვაჭრეებზე ვაგონებით.

უმთავრესი კანტორა საწყობთან არის

Дровяоний складъ кн. А. Г. Мачутадзе. (10—2)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია ახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, или Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—141)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ს. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ.-საათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1$^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ф. ბროტასკვიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ს. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. ბ. კარაშვეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასკვიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ზ. ს. ნავასარდიანი. 6$^1/_2$—7$^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—შ. კ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. არშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

14 ივლისი.

ბელგრადი. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, რომ სერბიის ელჩის კონსტანტინეპოლში თავ-გამოდებულის მოქმედების შემდეგ პორტა მიიწერა მონასტირში და სალონიკში სერბიის სკოლები დაარსებულ იქმნას. მიუხედავად მიისა, რომ საპატრიარქო წინააღმდეგი იყო, უსკუბსის საქმის შესახებ რუსეთმა ურჩია ზომიერების დაცვა და აფრთხილებდა მწვალებლობის წინააღმდეგ. ამ ბოლოს დროს საპატრიარქო თანახმაა ისეთს შერიგებაზედ, რომელიც სერბიის ხალხს დააკმაყოფილებს. იმის იმედიც არის, რომ სერბთა ეროვნება მალე იქმნება აღიარებული. გრესიჩი მადლობელია მთავრობისა დაუღალავი შრომისათვის, რუსეთის—მხარის დაჭერისთვის, ჩერნოგორიისა—ძმურის რთ ურთი მოქმედებისათვის. სკუპშჩინას სესია დაიხურა.

ჯიდდა. შავი-ჭირი უკვე მოისპო. 20 დღეა აღარავინ გამხდარა ავად.

ფილიპპოპოლი. ბოიჩევის საქმე. მოწმების ჩვენება დასრულდა. ორშაბათს წარმოთქმული იქმნება უკანასკნელი სიტყვები და შემდეგ, უთუოდ, განაჩენი იქმნება წაკითხული.

კონსტანტინეპოლი. 14 ივლისს შესდგება მე-13 კრება ზავის შესახებ პირობებზე მოსალაპარაკებლად. ჯერ კიდევ ზოგიერთი მუხლი უნდა იქმნას განხილული. ზავის დადებას, უთუოდ, ორი კრება კიდევ დასჭირდება.

ახალი ამბავი

⁂ **პროფესორ ტიხომიროვისაგან ტფილისის საბრეშუმო სადგურის დათვალიერება.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ა. ტიხომიროვი, რომელიც სამინისტროს მინდობილობით უნდა დაათვალიეროს ტფილისის საბრეშუმო სადგური და მისი განყოფილებანი.

⁂ **საშიში ქარხანა.** პოლიცმეისტერის მოადგილეს ბ. ზ. ტ. ლოლაძეს წოვიანოვის სახერხი ქარხანა (ნაბერეჟნი ქუჩაზედ) ძალიან საშიშოდ უცვნია ცეცხლის გაჩენისათვის. 12 ივლისს, კინაღამ უბედურება დატრიალდა ამ ქარხანაში, ბურბუშელებს ცეცხლი წაეკიდა და დროზედ რომ არ შეემჩნიათ, მისი გაქრობა ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა. ბ. ლოლაძის აზრით წოვიანოვის ქარხანა უნდა ქალაქს გარეთ იყოს გატანილი.

⁂ **რკინის გზაში მოსამსახურე ქალების თხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზაში მოსამსახურე ქალებმა გზათა მინისტრს მიართვეს თხოვნა, რომელშიაც სთხოვენ ჯამაგირის მომატებას. კაცები, რომელსაც ერთი და იგივე სამსახური აქვთ ქალებთან, იღებენ გაცილებით მომეტებულ ჯამაგირს ვიდრე ქალები, როდესაც უკანასკნელები არაფრით არ ჩამოუვარდებიან კაცებს საქმის კეთებაში და ხშირად უფრო ბევრს მუშაობენ. თხოვნა მიართვეს აგრეთვე ტფილისის კონდუქტორებმა სადგომ სახლების ფულზედ.

⁂ **რკინის გზა კავკასიის მთაგრეხილზედ.** 14 ივლისს, გზათა მინისტრმა მიიღო წარმომადგენელი ქ. ქუთაისისა თავ. პ. ა. თუმანიშვილი. მინისტრმა გამოუცხადა თუმანიშვილს, რომ კავკასიის მთა-გრეხილზე რკინის გზის გაყვანა ქ. ქუთაისზე ჯერხნობით არ არის უარყოფილი, ხოლო ჯერ-ჯერობით, სანამ ციმბირის რკინის გზის გაყვანა არ გათავდება საქმეს ვერ შევუდგებითო ინჟინერ რუდნიცკის გამოკვლევით მინისტრის სიტყვით, რკინის გზის ლიანდაგი დაიწყება კავკავის რკინის გზის სადგურ დარკოხიდგან, წამოვა მდინარე ურუხზე, გაივლის უმთავრესს ტონელს სოფელ ღებიდგან და რიონის ხეობით ჩამოვა ქ. ქუთაისშიო. როგორც მინისტრი ფიქრობს სწორედ ეს პროექტი იქნება განხორციელებულიო.

⁂ **სამოსწავლო ადმინისტრაციის თვალ-ყური სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებზედ.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი როგორც გაზ. „კავკაზს“ გაუგონია, აპირებს მიჰმართოს კავკასიის გუბერნიების მმართველებს, რომ უკანასკნელნი ყოველთვის ატყობინებდენ სამოსწავლო მზრუნველს, რა სოფელში იხსნება თუ გაიხსნა ბიბლიოთეკა სამკითხველო, რათა ჯეროვანი თვალ-ყური ვადევნოთო.

⁂ **ტფილისის I გიმნაზიის შენობის გადიდება,** თურმე, ძალიან მალე გადასწყდება.

⁂ **ტფილისის გამგეობის უცნაური მოქმედება.** ქალაქის გამგეობამ ტფილისის სახლის პატრონებს გაუგზავნა ანგარიშის ფურცლები, რომლითაც ატყობინებდა: წლის მეორე მეოთხედის ხვედრი ფული წყალის სარგებლობისთვის უნდა დაუყოვნებლივ წარმოადგინოთო. სახლის პატრონებს უკვე შეტანილი აქვთ წლის მეორე მეოთხედის ფული და ახლა ვერ წარმოუდგენიათ, რა არის ახლად დარიგებული საანგარიშო ფურცლები. ამ დღეებში სახლების პატრონები გაკვირვებულები მიესწრაფებიან ქალაქის მილის წყალის კანტორაში და თხოულობენ: აგვიხსენით, რას ნიშნავს ესეთი განკარგულება ქალაქის გამგეობისაო. ამ კითხვაზედ კანტორა შემდეგ პასუხს აძლევს: პირველი მეოთხედის თებერვლის ფული გამგეობას ჩარიცხული აქვს, როგორც გირაო, რომ სახლის პატრონებმა ვადაზედ უკლებლივ შემოიტანონ ხოლმე ხვედრი ფულიო. შეტანილი მეორე მეოთხედის ხვედრი ჩარიცხულია პირველი მეოთხედის ხვედრად და ეხლა უნდა მეორე გადაიხადოთო. მართალია, ანგარიშის ფურცლები პირველი მეოთხედისა თავის დროზედ (თებერვალში) არ იქმნა დარიგებული კანტორისაგან, და ამით ვერ გააგებინა საზოგადოებას გამგეობის აზრი, კანტორამ ამ შეცდომის გულისთვის მიიღო შენიშვნა. ეხლა მეოთხე მეოთხედის ფურცლები დროზედ არიან დარიგებულები და აღარა დაგრჩენიათ-რა მეტიო.

იმის მაგივრად, რომ სახლის პატრონები განცვიფრებიდგან და გაუგებრობიდგან გამოერკვიათ, კონტორის პასუხით უფრო მეტ გაოცებას მიეცნენ და ხელებსა შლიან. უნებურად ეკითხებიან ერთმანერთს: კაცო, ეს რა ჩარჩული ხრიკებიაო, ვსთქვათ, ვადაზედ ფული ვერ შევიტანეთ სრულად, გამგეობა განა არ უნდა დასჯერდეს იმ სასჯელს, რომ წყალი აღარ მოგვაწოდოს და უწყლოდ ამოგვწყვიტოსო. ეს ფულის წართმევა-წაგლეჯა რაღა არის?—აი იმ ფულისა პირველი მეოთხედის ხვედრად რომ შევიტანეთ და გამგეობას „ზალოგად“ ჩაურიცხავს?!... სახლის პატრონების განცვიფრებას უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ დახარჯული წყალი რამდენია. არავის გაუზომავს წყალის საზომებში და ციფრები-კი თითქმის ერთი-ორად არის ნაჩვენები...

გამოცანაა, მაშ რა არის!...

⁂ **ტფილისის ანტი სანიტარული მდგომარეობა.** როცა ფხიზელი სანიტარული ყურის გდება ეპირვება ქალაქს, სწორედ მაშინა სთვლემს ჩვენი გამგეობა. რომ გაიაროთ თუნდ იმისთანა საპატიო და დიდ ქუჩებზედ, როგორიც, მაგალ. პუშკინის ქუჩაა, წამ და უწუმ ფეხს წამოჰკრავთ დახოცილ ცხოველების ლეშებს. ამისთანა სიცხე პაპანაქებაში ქუჩებში მძორები შეიძლება მარტო ქალაქის გამგეობას ეგონოს ჰიგიენურ დეზინფექციად, მცხოვრებლებს-კი... რაღა თქმა უნდა, ცხვირები ახვეული უნდა ჰქონდეთ. თუ ამისთანა ქუჩებზედ ასეთი სანიტარული პირობებია, რაღას უნდა მოელოდეს უფრო მივარდნილი ქუჩები!...

⁂ **ჰიგიენის სწავლის შემოღება ქალთა გიმნაზიებში.** ჰიგიენის სწავლა აქამდის შემოღებული იყო მხოლოდ დედოფალ მარიამის ქალთა გიმნაზიებში. მოსკოვის ექიმების სურვილით, მთავრობამ სცადა პეტერბურგის ქალთა გიმნაზიებში ჰიგიენის სწავლის შემოღება. ცდამ აშკარად დაანახვა მთავრობას, რომ ქალთა სასწავლებლებში მშვენივრად შეიძლება წავიდეს ჰიგიენის სწავლა. ეხლა თან-და-თან შემოიღებენ ქალთა სხვა-და-სხვა ადგილას გიმნაზიებში ჰიგიენის სწავლას.

⁂ **თურქესტანის შეერთება დასავლეთ-ციმბირთან.** თურქესტანის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას აუძრავს შუამდგომლობა უმაღლეს მმართველობასთან თურქესტანის და დასავლეთ-ციმბირის რკინის გზის ლიანდაგით შეერთებაზედ; მაშინ კასპიის რკინის გზით ბაქოზე კავკასიიდამაც ადვილი იქნება ციმბირის მხარეს მოგზაურობა.

⁂ **სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საქმეთა მინისტრის მოგზაურობა კავკასიაში.** როგორც გაზ. „ნოვოსტს“ გაუგონია, სამეურნეო საქმეთა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი რომ დაბრუნდება სტოკჰოლმიდგან, სადაც ეხლა ბრძანდება, გამოემგზავრება სამხრეთ რუსეთისკენ, სადაც დიდხანს დარჩება ყირიმში და კავკასიაში.

⁂ **მეტეოროლოგიურ სადგურის დაარსება კავკასიაში.** სამხრეთ-რუსეთის და კავკასიის მიწების მორწყვის განსაკუთრებითმა ექსპედიციამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობასთან მტკვრის ნაპირზედ საჭირო მიწის უფასოდ დათმობაზედ, რათა იმ ადგილას დაარსდეს მეტეოროლოგიური სადგური.

⁂ **მადნეულ წყაროების აღმოჩენა კავკასიაში.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოგზავნა შავი ზღვის გუბერნიაში სპეციალისტი, რათა მან გამოიკვლიოს სოჩის მახლობლად მადნეული წყაროები როგორი არიან, აგრეთვე ივარგებს თუ არა მდინარე მაცესტის და აგურის მახლობლად მდებარე წყაროები. მთავრობას განზრახვა აქვს ამ ადგილებში დააარსოს სამკურნალო ფურორტები (აგარაკები).

⁂ **მატყლის მწარმოებელთა კრება.** ფინანსთა სამინისტროში მრავლად შეგროვდა სხვა და სხვა კითხვები ბეწვეულობის ვაჭრობის შესახებ. როგორც სატახტო გაზეთებს გაუგონიათ, ხსენებულ სამინისტროს სურს ამ შემოდგომაზედ შეჰყაროს მოსკოვში მატყლის მაწარმოებელნი. კრებაზედ უნდა გამოირკვეს ბეწვის ვაჭრობის განწეს-რიგების წესდება.

⁂ **ახალი კომერციული სასწავლებლები.** სატახტო გაზეთები გვატყობინებენ, რომ 15 აგვისტოდგან იხსნებიან ქ. ტფილისს და კოზლოვში შვიდ კლასიანი საკომერციო სასწავლებლები. პირველ სასწავლებელს ინახავენ ადგილობრივი ვაჭრები, მეორეს, ვაჭრების გარდა, ქალაქი და ერობა.

⁂ **სავალდებულო სწავლის შემოღება ქარხნებში.** სახალხო განათლების სამინისტროში საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ქარხნებში მცირე წლოვანთათვის სავალდებულო სწავლის შემოღების საქმე.

⁂ **შავი ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა.** შავის ქვის მწარმოებელთა წარმომადგენელმა და თავმჯდომარემ გ. ფ. ზდანოვიჩმა მიართვა გზათა მინისტრს თხოვნა, რომელშიაც შავი ქვის მწარმოებელნი შუამდგომლობენ შემდეგზედ: 1) რკინის გზამ დაუკლოს 6% შავი ქვა გადასატანი ფასიდგან. ამის საბუთად შემდეგია დასახელებული: შავი ქვა გადატანის დროს სინესტის გამო მძიმდება წონაში. მუშტარს მწარმოებელნი ყოველთვის უკლებენ წონას სინესტის სიმძიმის დაგვარად, რკინის გზა-კი მწარმოებელთ ახდევინებს იმის ფასსაც, რასაც უკანასკნელები უკლებენ მყიდველს. 2) შავი ქვა დაწყობილი ფოთ-ქალაქში ნაწილ-ნაწილად გადადის ფოთის სადგურში. თანახმად გზათა მინისტრის განკარგულებისა, ექსპორტერები არ იხდიან სადგურების და სხვ. ხარჯებს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში; ამიტომ სთხოვენ მინისტრს ეს ვადა გაგრძელდეს ერთ წლობამდინ. 3) შავი ქვა ეხლა სად. ქვიათურიდგან წასული ფოთამდე—160 ვერსის მანძილზედ, აქვს ადგილას იცლება და იბარგება ვაგონებზედ. ამ შემავიწროებელს გარემოების თავიდგან ასაცილებლად მინისტრს სთხოვენ, რომ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზედ გაყვანილ იქმნას ვიწრო-კალაპოტიანი ლიანდაგი: ახლანდელის ლიანდაგის გვერდზედ გაიყვანენ ცალ-პირ ლიანდაგს, მატარებელი ივლის ერთ ძველს ლიანდაგზედ და ერთ ახალზედ, ან კიდევ შემოიღონ მოძრავი ღერძებიანი ვაგონები, რომ ვიწრო ლიანდაგის ვაგონები იმართებოდენ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზედ პირდაპირ ფოთამდეო. მინისტრმა მოისმინა ყურადღებით ბ-ნი ზდანოვიჩის შუამდგომლობა და დაპირდა მოკლე ხანში გარჩევას.

⁂ **დურგლები და მათი ყოფა-ცხოვრება ტფილისში.** დღეს ასეთი მოძრაობა არა ხელოსნებში, არ არსებობს, როგორც დურგლებში; ცოტად თუ ბევრად უფრო გაღვიძებულია მათში ერთობისა და ძმობის სურვილი, ვიდრე სხვა ხელოსნებში. ეს სურვილი ახალი არ არის, არამედ ძველია, 1885 წ. მომდინარებს. ეს კეთილი აზრი დურგლებში ამ 10—12 წელიწადში ბევრჯერ შემდგარა და ისევ დაშლილა; მიზეზი-კი ჩვენი უცოდინარეობა, მოუთმენლობა, ერთმანერთის ყურის დაუგდებლობა ყოფილა; დღესაც არის ერთი ნაწილი დურგლების ამხანაგობა, რომელთაც ორასი თუმნის მომგებიანი ბილეთებიც აქვსთ, უწყვიათ ისე და ელოდებიან მოგებას, მაგრამ ღმერთმა-კი უწყის, მანამ პეტრე მოვა პავლეს რას უზამენ. ერთის მხრით არც გასამტყუნარნი არიან: რა ჰქნან, როგორ მოიხმარონ, როდესაც ერთმანერთს ვერა ნდობიან, თუმცა-კი გულით უნდათ, რომ თავისი წვითა და დაგვით შეგროვილი კაპეიკები გამოიყენონ კარგს საქმეში, მაგრამ აქაც ცოდნაა საჭირო და ეს კი ჩვენ არ შეგვწევს. ჩვენც ვიტანჯებით, როცა სწავლა არა გვაქვს და არც პატრონი გვყავს; ჩვენის უცოდინარის შრომით და ჯაფით თავებს ვაკლავთ საქმეს და ამით ვერც ჩვენს თავს ვარგივართ და ვერც ჩვენს შვილებს ვასწავლით რამეს. მერე ვინ შთაგვინერგა ეს კეთილი, საერთო ძმური შრომის სურვილი? ვინა და ნასწავლმა მოძმეებმა, რომლებიც გვპირდებოდნენ: ჩვენ მუშა ხალხის ოფლით აღზრდილნი ნასწავლები ვართ თქვენი მოვალეები და უნდა დაგიხსნათ გაჭირვებისგან, ჩვენის სწავლა ცოდნითაო. ახლა-კი მოგვეფარნენ თვალთაგან, მათი სიტყვები და მიზანი-კი დაიბეჭდა ჩვენ ხელოსანთ გულის სიღრმეში, შავის ქანგაროთი, რომელის ამორეცხა ვეღარაფერს შეუძლიან. ჩვენ აწ გვინდა განვითარებული გონებით შველა-დახმარება. ამიტომ ნასწავლს მკითხველებს მოვაგონებთ პოეტის სიმართლით სავსე სიტყვებს: კაცი უნდა კაცისათვის, სიცოცხლესა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

მე ამ ჩემს პატარა წერილს ვათავებ იმითი, რომ ყოველი გულ-შემატკივარი უნდა ხიდად გაედოს თავის მოძმეს, გამოიყვანოს ბნელით, დააყენოს მართალსა და სწორე გზაზე და უჩვენოს კეთილი საქმე.

დასასრულ, ვიმედოვნებთ და ვიმეორებთ, ვისაც-კი გული შესტკივა ქართველ ხელოსანთა კეთილ-დღეობაზე, მათს ზნეობა-გონებრივ და ნივთიერ საქმით წინ-მსვლელობისთვის, იმედია, არ დაიზარებს თვისს გონივრულად დარიგებას, პირადად თუ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით, და აგვიხილებენ თვალებს კეთილის დასანახად.

ხელოსანი მ. ჩოდრაშვილი.

⁂ **საზაფხულო სამეურნეო კურსები ტფილისში.** (გაგრძელება) მორიგ ლექციებზედ საბაღოსნო სკოლაში განხილულ იყო საბოსტნე ნაწილიდგან შემდეგი საგნები: სიმინდი, სატაცური, ლობიო, მუხუდო და მარწყვი. ბ ნი კრავჩენკო დიდის ყურადღებით აცნობდა სატაცურს, რომელსაც ჩვენში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სიმინდი-კი, რომლითაც ნახევარი საქართველო იკვებება, მაშასადამე დიდის ყურადღების ღირსია, ორიოდე სიტყვით მოიხსენია.

ბ-ნმა ტურჩინსკიმ წაიკითხა ლექცია ხეხილის გამრავლების შესახებ თესლეულობით და მყნობით, მისს სხვა-და-სხვა დროს ხელის შეწყობის შესახებ. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია თესლეულობით ხეხილის გამრავლებას. „რაც უფრო ხეხილი ბუნებრივად აღმოცენდება, უფრო სასარგებლოა. დასაწყისში ხეხილი აღმოცენდა თესლით, იგი უფრო ძალოვანი და ნაყოფიერია.“ სთქვა ბ-ნმა ფ. ვ. ტურჩინსკიმ. სასტიკად აღუკრძალა მასწავლებელთ სხვა ქვეყნებიდგან თესლეულობის დაბარება, „ხშირად ჩვენ ნდობას ბოროტად ხმარობენ თესლეულობით მოვაჭრენი“-ო. გარკვევით ახსნა თესლეულობის შინ მომზადება გარეულ ხეხილის ნაყოფიდგან. ბ-ნმა ტურჩინსკიმ ვრცლად და საბუთიანად ახსნა ვენახის სხვა-და-სხვა დროს ხელის შეწყობა. განსაკუთრებითი ყურადღება მიაპყრო ჰიგოს შედგმაზედ. მან სთქვა: „საქართველოში, უმეტესად კახეთში არ არის მიღებული ზამთრობით ჰიგოს გამოცლა. ეს-კი დიდი მავნებელია ვაზისათვის. ჰიგო ლპება და აქედან ვაზსაც მრავალგვარი ავადმყოფობა უჩნდება. რთვლის შემდეგ აუცილებლად ჰიგო უნდა გაიგლიჯოს, ხელ-მეორედ დაიჩეკოს და გაზაფხულზედ პირველ დაბარვის, ანუ გათოხვნის დროს შეედგას. მიწიდგან ამოღებული უნდა იყოს აგრეთვე ჰიგოს ნამტვრევი და დამპალი ნაწილები“. ყურადღება მიაქცივა აგრეთვე გასხვლას. „უნდა გაისხლას ზამთრის პირში, შეიძლება დეკემბერში და იანვარშიაც, თუ ყინვაობა არ არის, ვაზი კარგად შემოსილიც არის და ხალხს მოცლაც ბევრი აქვს“-ო.

შემდეგ ამისა ბ. ბ. ტიმოფეევის და კრავჩენკოს თაოსნობით მოხდა ზეპირი გამოცდა დასარწმუნებლად, თუ რამდენად შეითვისესო. გამოცდილ იყო თითო-ოროლა კითხვის მიცემით მასწავლებელთა მომეტებული ნაწილი საბოსტნო ნაწილიდგან. შედეგი იყო სუსტი, მცოდნეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 40%. მიზეზი ასეთი სისუსტისა აიხსნება მით, რომ საბოსტნე მცენარენი თი-

თქმის სულ თეორიულად იყვნენ განხილულნი. სახეხილო ნაწილიდგან მცოდნეთა რაოდენობა 80%-საც აღემატებოდა, რადგანაც სახეხილო ნაწილი მომეტებულად პრაქტიკულ გაკვეთილებზედ იყო გაცნობილი. დარწმუნებულნი ვართ, ვინც-კი წინადვე ცოტაოდნად მაინც გაცნობილი იყო სამეურნეო საგნებთან, ბევრს შეიძენდა ამ კურსებით.

დასასრულ ბ. ბ-ნთ ტიმოფეევმა, კრავჩენკომ და ტურჩინსკიმ მიჰმართეს მასწავლებელთ სიტყვებით, რომლებშიაც განუცხადეს დიდი მადლობა გულ-მოდგინე ყურის გდებისთვის და იმ ნაყოფისთვის, რომელიც აღმოჩნდა ზეპირ გამოცდაზედ. „ყოვლად შეუძლებელია ასეთ მცირე ხანში ასეთი ნაყოფი“-ო. სთხოვდნენ ყოველ შემთხვევაში მოგვმართეთ რჩევისათვის და ჩვენც დიდის სიამოვნებით აღვისრულებთო თხოვნას. შემდეგ ურჩიეს, რაც შეიძლება პატარა ადგილი აღმოირჩიონ საბოსტნო-სახეხილო საბაღოდ და განსაკუთრებითი ყურადღებით მოეპყარითო. „თქვენი ნაშრომით ჩვენ გზა უნდა გაგვიკვლიოთ დაბალ ხალხში“. შემდეგ საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველმა ბ-ნმა ნ. გ. ტატიშვილმა მიჰმართა სიტყვით ბბ.—ნთ ლექტორთ და გულითადი მადლობა გადაუხადა მათ, მართლადა, გულ-მოდგინე—დაუზოგველ დაუღალავ შრომისათვის. „უდიდესი ჯილდო შრომისა მასშია, როდესაც იგი საკმაო ნაყოფს მოიტანს და ვეცდებით თქვენი შრომა ფუჭად არ ჩავატაროდ, არამედ ჯეროვანი ნაყოფი მოვიტანოთ“-ო.

დასასრულ ყველა მასწავლებელი სათითაოდ გამოეთხოვა ბ.ბ.—ნთ ლექტორთ და გულითადს მადლობას უძღვნიდა შრომის მიღებისთვის. საბაღოსნო სკოლის მასწავლებელთა შრომა დათავდა საბოტანიკო ბაღის დათვალიერებით, სადაც გაემართნენ მასწავლებელნი ქალნი და ვაჟნი. ბ-ნ ს. ნ. ტიმოფეევის მეთაურობით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზედ, იმდენად არა სამეცნიერო ხასიათით, რაც გულის და თვალების გასახელად. წესი და რიგი მოითხოვდა შრომის შემდეგ სხეულის გალაღებას. საღამოს მასწავლებელნი მიწვეულ იყვნენ ჩაიზედ საეპარქიო ქალთა სასწავლებლის უფროსის ქ-ნ ნ. ნ. ტროფიმოვის, ბ-ნ ს. ნ. ტიმოფეევის და საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველის ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილის ხარჯზედ. სხეულის გალაღებას არა უჭირდა რა, წვიმას რომ ხელი არ შეეშალნა. მოწვეული იყო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი მ. სერაფიმეც. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ს. ნ. ტიმოფეევი ასეთი შრომისათვის. იგი ფიქრობს გაემგზავროს აგრეთვე მასწავლებლებითურთ სათავად-აზნაურო სკოის მამულში, ბათომში და იქაც გააცნოს შესანიშნავი ხეხილ-ბოსტნეულობა.

ორშაბათიდგან დაიწყო ლექციები საბრეშუმო სადგურში ფუტკრისა და საბრეშუმო ჭიის მოვლა-მოშენების შესახებ.

მ—შვილი.

⁂ **ერთის მეტად ურიგო საქციელის გამო.** ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მივაქციო საზოგადოების ყურადღება და იმათიც, ვისიც ჯერ არს, ერთს მეტად ურიგო საქციელს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს კანტორისას.

ამ ორი თვის წინად სოფლიდან ჩამოვიდა ჩემი ავადმყოფი და, რომელიც საავადმყოფოში დავაწვინე საქიმოდ. ღვთის წინაშე, რიგიანად სწამლობდნენ და დღე დღეზე უკეთესობაც ეტყობოდა, ასე, რომ ამ ახლო ხანებში შესამჩნევად უკეთ შეიქმნა და ორი კვირის შემდეგ სრულიად უნდა განკურნებულიყო. თვითონ მე დანიშნულს დროზე დავდიოდი საავადმყოფოში დის მოსაკითხად. ხოლო წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა გავიგე, კვირას საავადმყოფოს კანტორას ავადმყოფი ქალი გამოუწერიათ და თითქმის ძალდატანებით გამოუსტუმრებიათ. თვით მე თავისუფალი დრო არა მაქვს და კვირა დილით ვერ დავეკითხე და არც დრო იყო დილა-ადრიანად საავადმყოფოში მიდგომისა. საბრალო დედაკაცისთვის ისიც-კი არ დაუცდიათ, რომ ჩემთვის შეეტყობინებინა და პირდაპირ კარში გამოუგდიათ. ქალმა, ვითარცა გამოუცდელმა, თურმე, ტირილი დაიწყო, აქ მაინც კარებთან დამაყენეთ პირველ საათამდე, სანამ ჩემი ძმა მოვაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ეს არ უყაბულებიათ. დაუძახნიათ პოლიციელისათვის, რომელსაც ჩააბარეს, თურმე, ახლად ამდგარი დედაკაცი და პირდაპირ პოლიცმეისტერის სამმართველოში გაუმგზავრებიათ. კიდევ ღმერთმა უშველა, პოლიციაში აღმოჩენილა ერთი ღვთის-ნიერი კაცი და პოლიციელისათვის მოუსწავლებია ჩემი ბინა და ძლივ ძლივობით მომგვარეს გულ-გახეთქილი და ავადმყოფობისაგან დასუსტებული დედაკაცი.

მივაქცევ-რა ასეთ ყოვლად შეუწყნარებელ და ურიგო საქციელზე საზოგადოების ყურადღებას, ვისურვებ, რომ სხვებს მაინც ასე უდიერად არ მოჰქცეოდეს საავადმყოფოს კანტორა. უეჭველია, კანტორას ჰგონია, რომ საზოგადოებისთვის-კი არ არის იგი დაარსებული, არამედ საზოგადოება მისთვის, ხოლო ეგეთი აზრი სწორედ დიდი შეცდომაა და ფრიად სასურველია, რომ ასეთის შემცდარის აზრიდან გამოარკვიონ და გამოაფხიზლონ ხსენებულ საავადმყოფოს კანტორა, თორემ, ჩვენებურის ანდაზისა არ იყოს—„საცაა კოკა წყალზე გატყდება“.

სვიმონ ნადირაძე.

⁂ **გორი. აქაური სატუსაღოს წეს-რიგი.** გორის მაზრის სატუსაღო ტფილისის გუბერნიის ყველა სამაზრო სატუსაღოზე დიდია. ტუსაღთა რიცხვი აქ 150-მდე ადის ხოლმე. და მათი მდგომარეობა სავალალო არ არის. დამწყვდეულთ ავადმყოფობის დროს შესაფერი საავადმყოფო აქვთ; ავ-კარგის გასაგებად და გასართობად ტუსაღები არ არიან მოკლებულნი ჟურნალ გაზეთის კითხვას. საპატიმროს ზედამხედველის, ეს. ივ. ანანიაშვილის თაოსნობით ტუსაღებს აქვთ აგრეთვე ორთქლის აბანო. საზოგადოდ, პატივცემული ანანიაშვილი ნამდვილ მამობრივ სიყვარულით ეპყრობა დაჩაგრულებს და, ტუსაღები მისი მადრიელნი რომარიან, არც გასაკვირველია.

— **ახალგაზდას დახრჩობა.** მტკვარში, ბანაობის დროს, ეს არის ეხლა დაიხრჩო სტ. სოვ. თავ. მაყაშვილის ვაჟი კადეტი მაყაშვილი. გვამი ვერ იპოვეს და მის შველაში და ძებნაში, ცოტა არ გაწყდა, არ დაიხრჩო მისივე ამხანაგი. ამ არა სასიამოვნო და სამწუხარო ამბავმა ფრიად დაანაღვლიანა აქაური საზოგადოება.

ვანო

⁂ **დ. აბაშა.** † **ლ. მ. ავალიანი.** რვა ივლისს, მოკლე დროის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ლუკა მერაბისძე ავალიანი.

განსვენებული მეტად პატიოსანი და გულ-კეთილი კაცი იყო. სანამ ორპირში აღებ-მიცემობა და ვაჭრობა იყო, ბოქაულის თანამდებობას ასრულებდა; როცა ორპირში ვაჭრობა მოისპო, მას უკან გადმოყვანილი იქმნა დაბა აბაშაში სანაწილო ბოქაულად, სადაც მსახურებდა პენსიის დამსახურებამდე, მთელი აბაშის საზოგადოება ძრიელ ემადლიერებოდა განსვენებულს, როგორც ჭკუიანს და მხნე ადმინისტრატორს, გულ-კეთილს და პატიოსანს კაცს. მისი შემწეობით აბაშის მცხოვრებლები შეუწუხებელ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან პატიოსნად და ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას. მოხუცებულობის გამო სამსახურს თავი დაანება და სცხოვრობდა თავის მამულში, სოფელ ბაგაში, დაბა აბაშაზე სამი ვერსით მანძილზე მოშორებით. განსვენებულს დიდი ოჯახი დარჩა. თერთმეტ ივლისს ეს ყველასათვის საყვარელი ადამიანი დაასაფლავეს.

ბან-დონ.

⁂ **თიანეთის მაზრა. ცუდი ამინდების შედეგი.** წელს როგორღაც ზაფხული ხელიდამ გვეპარება. აგერ ივლისი ერთი კვირა უკვე გავიდა და რიგიანი სითბოც-კი არ გვიგრძნია. დილა საღამოთი ხომ ისე ცივა, რომ ასეთი სიცივე შემოდგომის უკანასკნელს თვეს უფრო შეჰფერის. გამოურკვეველი ამინდი, რასაკვირველია არც მოსავლისათვის და არც თვით ხალხთა ჯანმთელობისათვის არის კარგი. თუ მკმათავე-მარიამობისთვემაც ასევე გასტანა, ჩვენი მაზრა მეტის-მეტად დაიქვეითებს პურ-ქერის მოსავალში. ჯერ იყო გაზაფხულის გაუთავებელმა ავდრებმა ძლიერ უკან შეაყენეს მიწის მოსავალი და ახლა კიდევ სიცივე თუ გაგრძელდა, ცხადია, რომ ყანა და ქერი არა თუ თავის დროზე შემოსვლას მოასწრობს, უეჭველია, გამოსავალიც ძლიერ მცირედი ექნება.

— **საქონლის ქურდობა.** ამ ბოლოს დროს ერწოში როგორღაც გავრცელდა ცხენის ქურდობა. ჯერჯერობით რამდენიმე ცხენი გააპარეს. მათ შორის ორი ცხენი სვიმონიანთ ხევის მღ. გაცისაშვილის ეზოდამ მოიპარეს, თუმცა ერთი ცხენი ბორკილ გაყრილი ყოფილიყო, მაგრამ მეორე შეკმაზულს ცხენს ბორკილიანიც დაუბრკოლებლივ გაჰყოლოდა, იმედია, ვისაც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევს ერწოში გამოჩენილს ქურდ-ბაცაცებს და მათს თავხედობას დასაწყისშივე ამოსდებს ლაგამს.

⁂ **დაბა ჩურუქსუ** (ქობულეთი). **ვაჭრების შევიწროება ვაჭრებისგანვე.** დ. ჩურუქსუში ზაფხულობით დაიარებიან საგარაკოდ მრავალი ქალაქელები. აქაური ვაჭრები სიხარულით მოელიან ხოლმე ზაფხულს, რადგან მუშტარი ბევრი ემატებათ; მაგრამ წლეულს ჩურუქსუელ ვაჭრებს ბედმა არ გაუღიმა: მოაგარაკებისთვის სახლები გამართულია თითქმის ორი ვერსის სიშორეზედ დაბიდგან. აქამდის დაბას გარეთ სავაჭრო სახლი არა ყოფილა, მაგრამ წლეულს კი ორმა ვაჭარმა გახსნა სწორედ მოაგარაკეთა სადგომებთან დუქნები. ახალი მედუქნეები ყოველგვარ სავაჭროსა ყიდიან და ამის შემწეობით მოაგარაკეებს დაბაში სიარული არა სჭირიათ. დაბის ვაჭრები კი სხედან თავიანთ უმუშტრო დუქნებში და სთვლემენ თავ გაბრუებულები. ესეთი მუქთა ყოფნა, რასაკვირველია, ვაჭრებს არ მოსწონთ, და ფიქრობენ, რამე ხერხი მოიგონონ მუშტრების მოსაჩვევად. ამ ჟამად მხოლოდ ორი აზრი აქვთ აქაურ ვაჭრებს: ან ის ორი დუქანი გადმოიტანონ დაბაში და ან დაბიდგან ყველა დუქნები გადიტანონ მოაგარაკეთა სადგომებთან. თუ ან ერთი და ან მეორე არ გაახორციელეს, თქვენი მტერი,-აქაური ვაჭრების საქმე იქნება, სწორედ დაკუტდებიან თავიანთ დუქნებში უსაქმობით.

კიდევ ღმერთს მადლობა უნდა უთხრან აქაურმა ვაჭრებმა, რომ წლეულობით გასართობად ერთი კინტობაყალი გაუჩნდათ. თავისი ოხუნჯური ყვირილით და ნესვების ლატარიებით ართობს მხიარული კინტო სევდა მოწოლილ ვაჭრებს.

ახალი ვაჭარი ქობულეთში.

⁂ **ქუთაისი. ვაჭრობა კვირაუქმე დღეებში.** ამ ჩვენს ქალაქს ვერაფერის გზით ვერ ეღირსა კვირაუქმე დღეებში მაღაზიების და დუქნების დაკეტვა. ამას წინად ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, რომ კვირაუქმე დღეობით მაღაზია-დუქნები დაკეტილი იყოს დილიდან შუადღემდე და ნაშუადღევის ექვს საათამდინაო. მაგრამ ამ განკარგულებას სრულებით ყურადღებას არავინ აქცევს. ვაჭრებს ერთი-მეორეს წახედულობით მთელი დღე აქვთ კვირაობით ღია დუქნები და მაღაზიები... ნუ თუ მაგ ვაჭრებზე არავითარი ძალა არ არის?

ფ. ფ—ვი.

⁂ **ს. ზანა** (სამეგრელო). **გახშირებული ქურდობა.** ს. ზანა მდებარეობს თითქმის ზუგდიდსა და სენაკს შუა, მაგრამ უფრო დაახლოვებულია სენაკთან. ეს სოფელი ყველაფრით ჩამორჩენილია სხვა მახლობელ სოფლებზე; ქურდობას ხომ პირველი ადგილი უჭირავს. ასე წარმოიდგინეთ, დღე ისე არ გაივლის, რომ ორი თუ სამი სული საქონელი არ დაიკარგოს, ცხენი იქნება თუ სხვა რამ. აქაურმა ქურდ-ბაცაცებმა ჩანგი ეხლა სულ სხვა გვარად ააჟღერეს, ზედ სულ სხვა სიმები ააგეს, სხვანაირი ხასიათი მისცეს თავიანთს ხელობას—ქურდობას. აი მაგალითიც: ამელამ მოიპარავენ საქონელს, ხვალ მოდის პატრონთან შუამავალი (დალალი) და ეუბნება: შენი ცხენი ჰყავს ამა და ამ კაცს (ქურდს მართლა დაასახელებს), თუ ოც მანათს (შეიძლება მეტი და შეიძლება ნაკლები—ეს დამოკიდებულია ვაჭრობაზე და საქონლის ღირსებაზე) მისცემ, დაგიბრუნებსო. თუ მორიგდნენ, ხომ კარგი, დაუბრუნებენ საქონელს, და თუ არა, „ცხრა მთას იქით“ გადაჰკარგვენ... ზოგიერთს საწყალ გლეხ-კაცს სამ-ოთხჯერ მოუხდება თავისის საქონლის გამოსყიდვა ამ გვარ ულმერთოებისაგან, რადგან ხშირად მორიგების შემდეგ ხელ მეორედ და მესამედაც ჰპარავენ. მაგრამ ვინაა ყურადღების მიმქცევი და პატრონი?!. ეხლახან დაგვინიშნეს ახალი მაზრის უფროსი და ვნახოთ, რა სიკეთეს მოგვიტანს.

გურულ-მეგრელი.

⁂ **სოფ. ხაშმი** (გარე-კახეთი). **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** 6 ივლისს, კვირას, ს. ხაშმში მომავალის სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ხაშმელმა ახალგაზდობამ წარმოდგენა გამართა. წარმოიდგინეს ვალ. გუნ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“ და ა. ცაგარლის ახალი პიესა „ჭკუისა მჭირს.“ წარმოდგენამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, აგრეთვე გარეშე სოფლებიდგანაც: საგარეჯოდან (15 ვერ. მანძილზეა) მუხროვანიდან და სხ... მოზრდილი დარბაზი (სასოფლო პურის მაღაზიის შენობა) ისე გაივსო ხალხით, რომ მომეტებული მსურველნი, თუმცა მეტს ფასსაც იძლიდნენ, მაგრამ უადგილობისა გამო უკან დაბრუნდნენ. ორივე პიესა მშვენივრად ითამაშეს; მართალია, მცირეოდენი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ სოფლად—წარმოდგენის გამართვას, ისიც „და-ძმისას“, სადაც მოთამაშეთ ბევრნაირი დაბრკოლებანი ეღობებიან წინ,-უნდა ვსთქვათ, რომ მცირეოდენი ნაკლებულობა არასფერს წონს არა სდებდა. კარგი ჰქონდათ თითქოს ამ წარმოდგენისთვის მომზადებული ტანისამოსი, სცენა და ყველა ეს საერთოდ დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე. ძალიან ასიამოვნა საზოგადოება ვოდევილმა, —მასში ნამღერმა კუპლეტებმა, რომელთა მოსმენით აღტაცებული საზოგადოება ტაშს უკრავდა „ვაშას“ ძახილით.

სასიამოვნოა უფრო ისა, რომ ადგილობრივ გლეხებზედაც დიდი ზედგავლენა იქონია ამ წარმოდგენამ. ისინიც-კი, ვინც წინააღმდეგნი იყვნენ, ეხლა თანაგრძნობით შეხვდნენ ამ საქმეს... „აბა, ბიჭო, რომ დავცინოდით, წუხელის უნდა გენახა, რა თრიათი წარმოადგინეს?.. პაი, პაი, რა ვნახეთ, თქვენი ჭირიმე, ი დალოცვილში; გაიხარდენით და ღმერთმა მეტი შეგაძლებინოთო!..“ ვისაც არ ენახა, მნახველები იმათ უამბობდნენ მთელს შინაარსს პიესისას... გული სიხარულითა და სიამოვნებით გევსება, როდესაც ხედავ სოფლად-სოფლელების თანაგრძნობას და ერთი ორად უნარი გემატება საქმის გასაკეთებლად.

განსაკუთრებით კარგად ითამაშა ქ. ნ. საყვარელიძემ (მარინეს როლი). ამ ქალის თამაშობა ჩვენ რამდენჯერმე გვინახავს სხვა და სხვა პიესებში და ყველგან ნიჭიერად შეუსრულებია ხოლმე თავისი როლები. საბუთიანად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მას სასცენო ნიჭი აქვს, ხოლო ნიჭს განვითარება უნდა, რომ სარგებლობის მომტანი იქნეს.

საკვირველ არს დრამ. საზოგადოების საქმენი! მის მაგიერ, რომ აგვაცილოს საყვედურები: მსახიობი არა გვყავს, რომ მოზრდილი (ანუ ახალი) პიესები ვითამაშოთო,—რატომ არ მიაქცევს ყურადღებას ასეთს ნიჭიერ პირებს, არ მოიწვევს თავისს დასში

და არ გაწრთვნის სამშობლო სცენის სამსახურისათვის?..

დასასრულ, დიდი მადლობის ღირსნი არიან დანი მთავრის ასულნი ქქ. ანნა ცისკარიშვილისა და ნატო ქველივიძისა და ბ. ივ. ბაქრაძე, რომელთაც საქმით დიდი დახმარება აღმოუჩინეს და ხელი შეუწყეს წარმოდგენის გამართვას. არა ნაკლების მადლობის ღირსია მამასახლისი ბ. თომა ქორქაშვილი, რომელმაც დაუთმო პურის მაღაზიის შენობა წარმოდგენისთვის და ამითი დიდი დახმარება გაუწია საერთო საქმეს. იმედია, ეს პატივცემულნი პირნი შემდეგშიაც არ დააკლებენ ახალგაზრდობას თავიანთს გულითადს თანაგრძნობას და დახმარებას.

ხარჯის გარდა დარჩა 40 მანეთამდის,

— **ლატარიის გადადება.** ზოგიერთ მიზეზთა გამო მომავალ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გასამართავი ლატარია გადიდო შემდეგისათვის.

ხაშმელი სოსიკა.

წვრილი ამბავი

—

სოფლის მუშათა გაფიცვა. სოფლის მუშათა გაფიცვა იტალიაში, ფერარაში და კრემონიაში, როგორც გაზეთ „სინ ოტეჩ.“-ს ატყობინებენ, თითქმის გათავდა. გაიმარჯვეს მუშებმა. კაპიტალისტები იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ მუშებისთვის თავისი ინტერესები.

მთავრობამაც თავისს მხრივ მიაქცია ყურადღება მუშების გაჭირვებულს ყოფა-ცხოვრებას. მთავრობას განზრახვა აქვს შეიტანოს რამდენიმე კანონ-პროექტი უმიწო სოფლის მუშათა დასახმარებლად.

—

ბავშვების გაცვლა. დანიაში მეტად მშვენიერი ჩვეულება აქვთ. ზაფხულობით კანიკულების დროს ქალაქელი მშობლები თავიანთ შვილებს „უცვლიან“ სოფლელ მშობლებს შვილებში. სოფლელნი უგზავნიან თავიანთ შვილებს ქალაქელებს, უკანასკნელები-კი პირველებს. მატარებლის მიმოსვლა სახელმწიფოს აქვს საკისრი. მოგზაურ ყმაწვილებს გულზე მიკრული აქვთ დაწერილებით, სად და ვისთან მიემგზავრებიან. მატარებლის მოსვლის დროს სადგურზე იკრიბებიან სოფლელები და ქალაქელები—ყმაწვილების დასახვედრად. თუ რომელიმე ყმაწვილი აირია გზაში, თავ-შესაფარს ყველა დანიელის სახლში პოულობს. სოფლელები ქალაქელ ყმაწვილებს მშვენივრად უვლიან: კანიკულების შემდეგ ყველანი საღად და ცოცხალის ორგანიზმით უბრუნდებიან ქალაქელ მშობლებს; ხოლო ქალაქელები კი სოფლელების შვილებს ატარებენ ქალაქებში—აჩვენებენ ყველა შესანიშნავს ადგილებს, უმართავენ საბავშვო თეატრებს და სხვა-და-სხვა გასართობ თამაშობას. ქ. კოპენჰაგენი ყოველ წლივ 10 ათას ყმაწვილს ჰგზავნის სოფლებში და თითქმის ამდენსავე რიცხვს პატარა სოფლელებისას ღებულობს სოფლებიდან.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ-ნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

ლანჩხუთში — „შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.

საჭილაოში — „შუამავალში“.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი ღუკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადეშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითავიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე გოლეულიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—15) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული
ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი
„ქართველთა ტომი“ ასამდე სურათით
და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს
5 მანათად.
ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—15)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად; ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წლიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5% დაზღვეულის თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—**74** მანათი და **50** კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5.000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სანმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან, ქ. ტფილისში, ერევნის მოედანზე,** ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.

ტელეფონი № 51.

Страховое общество
„ЯКОРЬ“
Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.
Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.
Телефонъ управленія № 51. (100—39)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухглтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) Коммерческой риѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики н счетохъ,
4) Коммерческой эконміи,
5) Тортовыхъ и вексельныхъ узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. ттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (100—54)

Магазинъ
О. ЗИБЕРТА
Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ
СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрини МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕИ и т. под., МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕИ издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—50)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ზალ. ჭუნია